



სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი, 2018

## სარჩევი

შესავალი .....	3
ხარისხის მართვის მიმართულება .....	3
სასწავლო პროცესის, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმართულება .....	4
მატერიალური უზრუნველყოფის მიმართულება .....	8
პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულება .....	10
ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულება .....	13
ბიბლიოთეკა .....	17
დასკვნა.....	18

## შესავალი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის აქტივობებზე პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო პროცესის ადმინისტრირების შესახებ ანგარიში. 2017-2018 წლის ანგარიში მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ✓ ხარისხის მართვა;
- ✓ სასწავლო პროცესი, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
- ✓ მატერიალური უზრუნველყოფა;
- ✓ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა;
- ✓ ინკლუზიური პროფესიული განათლება;
- ✓ ბიბლიოთეკა.

## ხარისხის მართვის მიმართულება

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელების მიზნით შემუშავებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (ბრძანება N69, 08.08.2017წ).

2017-2018 სასწავლო წლებში ხარისხის სამსახურის საქმიანობა წარიმართა დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით განხორციელდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მიმდინარე ექვსი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფა და მომზადება ავტორიზაციის პროცესისათვის. ასევე, განხორციელდა ახალი მოდულური პროგრამების შემუშავება, განხილვა, დამტკიცება და მომზადება ავტორიზაციისთვის:

- „ინფორმაციის ტექნოლოგი“-ის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (IV საფეხური);
- „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზებ“-ის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ (IV საფეხური);
- „საფინანსო სერვისებ“-ის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ (III საფეხური).

სასწავლო პროცესის ეფექტური ადმინისტრირებისთვის უწყვეტად ხორციელდება სალექციო ცხრილების შედგენა, როგორც პროფესიული მასწავლებლებისათვის, ასევე სტუდენტებისათვის, რომელიც თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებთან და

ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. შემოწმდა სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი პირობები, კოლეჯში არსებული სასწავლო მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მდგომარეობა, სასწავლო კომპიუტერებში ჩატვირთული სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული ყველა კომპიუტერული პროგრამა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის მიზნით, ანონიმური კითხვარების მიხედვით გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები და დამსაქმებლები. მონიტორინგის შედეგების ანალიზის შედეგად დაიგეგმა გარკვეული ქმედებები, რომელიც განხორციელებულ იქნა შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ.

კოლეჯის სასწავლო პროცესის ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვისათვის მიმდინარეობდა მჭიდრო თანამშრომლობა კოლეჯის მასწავლებლებთან სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში.

კოლეჯი წარმატებით ახორციელებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ მოკლევადიან პროფესიულ პროგრამებს, რომელთა სწავლებაც მიმდინარეობს, როგორც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დაწესებულებებში, ასევე კოლეჯის ბაზაზე.

2017 წელს მომზადდა თვითშეფასების ანგარიში, რომლის შემუშავებამაც ჩართული იყო კოლეჯის დირექცია და ადმინისტრაცია. კოლეჯის დირექციამ თვითშეფასების ანგარიში წარუდგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დადგენილ ვადებში.

2018 წელს შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი.

კოლეჯში მიმდინარეობს ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სისტემატიურად ხორციელდება მათზე მორგებული, მოდიფიცირებული, სწავლის შედეგების შემუშავება.

სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, კომპიუტერული მიმართულების ჯგუფებისათვის შექმნილ იქნა სხვადასხვა სახის უახლესი ტექნიკა.

## სასწავლო პროცესის, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმართულება

კოლეჯის სასწავლო პროცესის საქმიანობის ხარისხიანად და ეფექტიანად წარმართვისათვის, მჭიდროდ ვთანამშრომლობდით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთან, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ

ცენტრთან, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ - საინფორმაციო მართვის სისტემასთან და სხვა სტრუქტურებთან.

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ 2017 – 2018 წლებში ხორციელდებოდა 11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

1. მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრაულიკური) ოპერატორი;
2. ავტომობილის დიაგნოსტიკოსი;
3. ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი;
4. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი;
5. ძრავის შემკეთებელი;
6. ბუღალტერი;
7. ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი);
8. მცირე ბიზნესის მწარმოებელი;
9. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი;
10. სავალი ნაწილის ტექნიკოსი;
11. ტოპოგრაფი.

და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

1. ბუღალტრული აღრიცხვა;
2. ვებპროგრამისტი;
3. ინფორმაციის ტექნოლოგია;
4. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი;
5. ბანკის მოლარე ოპერატორი;
6. საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი;
7. სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალიტი).

კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სსსმ და შშმ პირთა პროფესიული განათლების მიღების პროცესში, ჩვენ ვზრუნავთ პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკულ და თეორიული ცოდნის მიღწევების გაუმჯობესებაზე, ასევე ორიენტირებულები ვართ პროფესიული მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე. ამჟამად, მოქმედია 49 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

2017-2018 წლებში კოლეჯის პროფესიულმა მასწავლებლებმა გაიარეს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი შემდეგი ტრენინგ/კურსები:

✓ პროფესიული მასწავლებლების მასწავლებელთათვის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადამზადება და სერთიფიცირება მოხდა კოლეჯის 32 პროფესიულ მასწავლებელთან, პედაგოგიური კურსი მოიცავდა 5 თანმიმდევრულ მოდულს:

- მოდული 1- სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში;

- მოდული 2 - პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში;
- მოდული 3 - სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები;
- მოდული 4 - კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში;
- მოდული 5 - პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა პროფესიული განვითარება.

აღნიშნული გადამზადების შედეგად, 32 პროფესიულ მასწავლებელს სერთიფიკატი გადასცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა.

✓ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელისა და პროექტის „გენდერი იწყება ჩემგან“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „გენდერული ტენდენციები განათლებაში“ და აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პროფესიულმა მასწავლებელმა;

✓ თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა აისეტ (ISET) -ის მიერ განხორციელებულ ბიზნეს-ქეისებზე დაფუძნებული სწავლების ვორქშოპში მონაწილეობა მიიღო ორმა პროფესიულმა მასწავლებელმა. აისეტის ტრენინგები ასევე შეხვდნენ კოლეჯის ოცამდე პროფესიულ სტუდენტს და მათთან ერთად განახორციელეს ბიზნეს-ქეისებზე დაფუძნებული ვორქშოპი.

✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კოლეჯის ბაზაზე გერმანელმა ტრენინგებმა ჩაატარეს სამდღიანი „მეწარმეობის უნარების ტრენინგი“ და აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო ოცდაშვიდმა პროფესიულმა მასწავლებელმა.

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა სწავლება „შებრუნებული საკლასო ოთახი ონლაინ სწავლება თუ პირისპირ შეხვედრების ოპტიმიზაცია“. აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პროფესიულმა მასწავლებელმა.

2017-2018 წლებში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების გავლის შემდგომ კოლეჯის პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (საგნობრივი) პროგრამებისა და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის და მიზნობრივი ჯგუფებისათვის შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით სასწავლო ცხრილები. სასწავლო პროცესის განმავლობაში იქმნება სასწავლო ცხრილები კოლეჯის დღის პირველი და დღის მეორე ცვლებისათვის, რომლებიც განთავსებულია და განახლებადია აქტუალობის მიხედვით კოლეჯის საინფორმაციო დაფაზე და კოლეჯის ვებგვერდზე.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობის განმავლობაში ყოველთვიურად მზადდება ფინალური გამოცდების შედეგების განრიგი, რომელიც მუდმივად განთავსებულია კოლეჯის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე.

2017-2018 წლების განმავლობაში სასწავლო პროცესის მმართველი რგოლი აქტიურად მონაწილეობდა მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვა-განხორციელებაში, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროფესიული პროგრამების დანერგვის პროცესში ვთანამშრომლობით გარე მონიტორინგისა და შიდა მონიტორინგის ხელშეწყობის სპეციალისტებთან.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მოდულური პროგრამების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი აქტიურად ახორციელებს დასწრება-დაკვირვებას ლექციების მსვლელობის პროცესში და ფინალური გამოცდების შედეგებზე, უწყვეტად იმართება სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 16 ნომბრის N163 ბრძანებით შექმნილი „მოდულური პროგრამების შიდა მონიტორინგის ჯგუფის“ სხდომები, რომლებიც დასტურდება შესაბამისი ოქმებით.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხდება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო მოდულის კალენდარული გეგმების პედაგოგებთან შემოწმება და მათი მზაობა მოდულის განსახორციელებლად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის და მიღებული განათლების აღიარების წესები, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და ესადაგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და დასტურდება დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, სხვა სამართლებრივი აქტებით. აღნიშნული საკანონმდებლო სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის მიმართულება ახდენს სტუდენტთა სრულყოფილ მართვას სასწავლო პროცესის განმავლობაში. ამ პერიოდის განმავლობაში მოხდა 150 - მდე კორესპონდენციის მიღება და შესრულება.

სტუდენტების მოტივაციის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით ტარდება სპორტული, ინტელექტუალური, შემეცნებით და გასართობი ღონისძიებები.

### **საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე საწარმოო პრაქტიკა არის სავალდებულო კომპონენტი და პროფესიული პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს ფორმალურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები).

საწარმოო პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

საწარმოო პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის: სტუდენტის, პროფესიული სასწავლებლისა და დამსაქმებელთათვის. საწარმოო პრაქტიკის ფორმატიდან გამომდინარე საწარმოო პრაქტიკა ტარდება, როგორც კოლეჯის ბაზაზე ასევე კოლეჯის ფარგლებს გარეთ, ვისთანაც კოლეჯს გააჩნია სახელშეკრულებო ურთიერთობები და დადებული აქვს მემორანდუმები. პრაქტიკის ობიექტი (პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია) ან მისი

სტრუქტურული ერთეული არის დარგის შესაბამისი. მიმდინარე პერიოდისთვის ურთიეთანამშრომლობა განახლდა და ასევე ამოქმედდა: ი.მ. „თემური ალბეიონი“, შპს „მამკოდა 2007“, შპს „ავტოექსპერტს გრუპი“, შპს „ოტო მოტორს ჰოლდინგი“, შპს „მისო ლიდერ კრედიტი“, ა(ა)იპ „გლდანის განვითარების ფონდი“, ი.მ. თეიმურაზ ტოლიაშვილი.

2018 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის 7 ჯგუფი მოდულის „გაცნობითი პრაქტიკის“ ფარგლებში ექსკურსიებზე იმყოფებოდნენ მიზნობრივ ორგანიზაციებში:

გაცნობითი პრაქტიკა, პროფესიულ მოდულარულ პროგრამებში						
N	ჯგუფის ნომერი	პროგრამა	საფეხური	მოსწავლეთა რაოდენობა	მიღება	
1	ჯგუფი 165	ბუღალტრული აღრიცხვა	5	19	2017-საშემოდგომო	საბანკო სწავლების ცენტრი
2	ჯგუფი 166	ვებპროგრამისტი	5	12	2017-საშემოდგომო	12.01.2018 "GEOGRAPHICH"
3	ჯგუფი 169	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	5	12	2017-საშემოდგომო	18.01.2018 შპს "თეგეტა მოტორსი"
4	ჯგუფი 173	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	3	13	2017-საშემოდგომო	1.03.2018 შ.პ.ს "სტაგი პრინტი"
5	ჯგუფი 175	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)	4	14	2017-საშემოდგომო	9.03.2018 შ.პ.ს "FLEXMEDIA"
6	ჯგუფი 167	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	3	13	2017-საშემოდგომო	16.01.2018 შპს "აიტისი"
7	ჯგუფი 168	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	3	13	2017-საშემოდგომო	10.01.2018 შპს "ალტა"

უწყვეტად მიმდინარეობს საწარმოო პრაქტიკის განხორციელება შესაბამის ჯგუფებში, რომლსაც მონიტორინგს უწევს საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. პრაქტიკის ობიექტზე გასვლამდე პროფესიული სტუდენტები ეცნობიან უსაფრთხოების წესებს და ადასტურებენ ხელმოწერით, ხელმოწერილი დოკუმენტი ინახება კოლეჯში. საწარმოო პრაქტიკის მიზნობრივი ჯგუფებისთვის განსაზღვრულ ვადაში იგეგმება პრაქტიკის მიმდინარეობის ცხრილი, რომელიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი პრაქტიკის მიმდინარეობისას აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვის ჯურნალებს და პრაქტიკის დღიურებს.

### მატერიალური უზრუნველყოფის მიმართულება

#### ფინანსური ანგარიში

2017 წლის საანგარიშო წლის განმავლობაში სსიპ - საზოგადოებრივმა კოლეჯმა „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრმა“ ვაუჩერული დაფინანსებით მიიღო სულ 536850.61 ლარი, აღნიშნული დაფინანსებიდან შრომის ანაზღაურებისათვის გახარჯულია 401410 ლარი, ხოლო სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალებისათვის გაწეულია საკასო ხარჯი 9535 ლარის



ოდენობით, შეძენილია 36 ლარის არაფინანსური აქტივი (სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი, სასწავლო სახელმძღვანელოები). ვაუჩერის დაფინანსების საკასო ხარჯმა შეადგინა 410945 ლარი.

2017 წლის განმავლობაში კოლეჯმა პროგრამული დაფინანსებით სახაზინო კოდზე 32 03 01 09 მიიღო სუბსიდიის მუხლით 456097 ლარი, არაფინანსური აქტივის ზრდის მუხლში 21505 (აღჭურვილობა) და სხვა ხარჯების მუხლში 1137 ლარი, სულ- 478739 ლარი.

სახაზინო კოდზე - 32 03 02 05 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის კოლეჯმა მიიღო 14786 ლარი, რომელიდანაც გახარჯულია პედაგოგების შრომის ანაზღაურებაში 14613,50 და საქონელი და მომსახურებაში 30 ლარი.

სულ ბიუჯეტის დაფინანსებამ შეადგინა 493525 ლარი, საიდანაც გახარჯულია 485493,85 ლარი. შრომის ანაზღაურება-264535,50 ლარი, საქონელი და მომსახურებაში 195220 ლარი სოც. დახმარება (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება) - 3163 ლარი და სხვა ხარჯი-1070 ლარი.

2017 წლის 25 აპრილს კოლეჯსა და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული N32070202/02-ის ხელშეკრულებების საფუძველზე კოლეჯმა მიიღო გრანტის სახით 6319,81 ლარი კოლეჯის გარე წყალკანალიზაციის სამუშაოების მოწყობისათვის. აღნიშნული თანხიდან შესრულდა 5877,21 ლარის სამუშაოები და ნაშთი 442,60 ლარი დაბრუნდა თანხის გამცემის ანგარიშზე.

2017 წლის 5 ივლისს კოლეჯსა და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს შორის გაფორმებული N32070202/09-ის ხელშეკრულებების საფუძველზე კოლეჯმა მიიღო გრანტის სახით 15226,83 ლარი კოლეჯის ლიფტის ექსპლოატაციაში მიღების სამუშაოების ჩასატარებლად, აღნიშნული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 15218,36 ლარი და ნაშთი 8,47 ლარი დაბრუნდა თანხის გამცემის ანგარიშზე.

2017 წლის 1 იანვრისათვის კოლეჯს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ერიცხებოდა კრედიტორული დავალიანება 170651 წინა წლების კრედიტორული დავალიანებიდან შეძენილია 4547 ლარი საარქივე თაროები და აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში უკან დაბრუნებულია 61,74 ლარი. 2017 წლის 31 დეკემბრისათვის კოლეჯის დავალიანება სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან შეადგენს 166052,85 ლარს.

ფინანსური რესურსები - 2017 წელს კოლეჯის მიერ მიღებული სახელმწიფო ასიგნებები და სხვა ფინანსური რესურსი მოცემულია თანდართული დანართის სახით.

სახელმწიფო შესყიდვები - კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება- გაუმჯობესება მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვითა და წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში. სულ 2017 წელს გაფორმდა 78 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება, მათ შორის, 68 ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ერთი ხელშეკრულება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ერთი ხელშეკრულება - ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ხოლო 8 ხელშეკრულება კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.

უძრავი ქონება - კოლეჯის განლაგების ძირითად მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი შეადგენს 6169.30 კვ.მ. (ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო

კოდი - 01.11.10.012.026, 01.11.10.012.028, მიწა - 5937 მ.კვ.), (ქ. თბილისი, მახალდიანის ქ. N7, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 01.12.20.030.022, მიწა - 536 მ.კვ.).

კოლეჯში „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების შესაბამისად და მოთხოვნების დაცვით, ხორციელდება კოლეჯის ძირითადი აქტივების, ნედლეული და მასალების, მზა პროდუქციის, შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონლის, სათადარიგო ნაწილების, სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების, ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის კოლეჯის კუთვნილი ქონების ფაქტიური ღირებულება შეადგენს 13915663 (ცამეტი მილიონ ცხრაასთხუთმეტიათას ექვსას სამოცდასამი) ლარს, აქედან კოლეჯის აქტივები შეადგენს 13185665 ლარს, ხოლო დანარჩენი 729998 ლარის ქონება არის ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და მარაგების სახით.

### **პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულება**

2017-2018 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით დაგეგმილი იყო აქტივობები სხვადასხვა პროფილით.

#### **სტუდენტთა მოზიდვის მიზნით ღია კარის დღეების ჩატარება**

2017-2018 წელს კოლეჯში ორჯერ გაიმართა ღია კარის დღე, რაც წინ უძღოდა ახალი სასწავლო პროცესის დაწყებას. საშემოდგომო და საგაზაფხულო რეგისტრაციების შემდეგ, პროფესიულ ტესტირებამდე გაიმართა ღია კარის დღეები საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულთათვის. შეხვედრაზე აპლიკანტებს მიეწოდათ ინფორმაცია პროფესიული ტესტირებისა და ჩარიცხვის შემდგომი პროცედურების, დაფინანსების მოპოვებისა და სხვა საინტერესო დეტალების შესახებ. ასევე, გაეცნენ კოლეჯის პროფილს, პროგრამებს, აუდიტორიებსა და სახელოსნოებს, ინფრასტრუქტურას, პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებს და სხვა. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ პროფესიული ტესტების ნიმუშებს, ტესტირების პირობებსა და მიეღოთ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

#### **შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის ანალიზი**

2017-2018 წელს კურსდამთავრებულთა სატელეფონო გამოკითხვა ჩატარდა წლის განმავლობაში ორჯერ (6 თვეში ერთხელ). გამოკითხვის მიზანი იყო შეგვესწავლა დასაქმების მაჩვენებელი პროფესიული პროგრამების მიხედვით, რამაც მოგვცა შრომის ბაზრის მოთხოვნების რეალური სურათი.

#### **სტუდენტების კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები**

2017-2018 წელს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ გაიმართა სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები.

2018 წელი, თებერვალი	კოლეჯში გაიმართა ინტელექტუალური: თამაში "რა? სად? როდის?" ზამთრის სერია, რომელშიც კოლეჯის სტუდენტებისგან შემდგარი 11 გუნდი იღებდა მონაწილეობას.
2018 წელი, მარტი	კოლეჯში მკლავჭიდში შიდა ჩემპიონატი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის სტუდენტებმა ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე.
2018 წელი, აპრილი	კოლეჯში სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებზე. საინფორმაციო შეხვედრას დაესწრნენ გლდანის კოლეჯის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები.
2018 წელი, აპრილი	2018 წლის 3 აპრილს კოლეჯში ჩატარდა შიდა ტურნირი ჭადრაკში და შაშხი. მსგავსი ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში შემდეგში სკოლებში სისტემატიურად ტარდება, რაც სტუდენტებში ლოგიკური აზროვნებისა და სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების განმტკიცებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.
2018 წელი, აპრილი	კოლეჯმა მოიწვია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), რომელმაც ამა წლის 27 აპრილს კოლეჯის სტუდენტებისთვის ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა სათაურით - „ინფორმირებული მიგრაცია - უსაზღვრო შესაძლებლობები“.
2018 წელი, მაისი	თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გულია გოცირიძემ, მომდერალმა ზურაბ ხაჩიძემ და მამა დავით აფციაურმა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, გლდანის რაიონში მდებარე სკოლის მოსწავლეებთან და კოლეჯის სტუდენტებთან ჩაატარეს შეხვედრა, სადაც ისაუბრეს თამბაქოს მავნებლობაზე.
2018 წელი, მაისი	„ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის წევრი კომპანია „ელიტ მოტორს“-მა, რომელიც Volvo Construction Equipment-ის ოფიციალური დილერია საქართველოში, ჩაატარა მძიმე ტექნიკის ოპერატორთა შეჯიბრი. შეჯიბრი გაიმართა კომპანია „ელიტ მოტორსის“ ტერიტორიაზე. მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორთა ჩემპიონატში კოლეჯის კურსდამთავრებულებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა.

### პროფესიული სტუდენტების სოციალური მდგომარეობის შესწავლა და გაანალიზება

2017-2018 წელს ვთანამშრომლობდით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან. ჩარიცხულ სტუდენტებში ხდება დევნილის სტატუსის მქონდე პირების იდენტიფიცირება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო დევნილის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას, რაც მდგომარეობს მგზავრობის ხარჯის სრულად დაფარვას. კოლეჯი თვეში ერთხელ ამზადებს დევნილის სტატუსის მქონე პირების სტატისტიკას და აცნობს სამინისტროს.

საწარმოო პრაქტიკის თაობაზე დამსაქმებლებთან ახალი მემორანდუმების გაფორმება. პარტნიორების მოზიდვა სტაჟირებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით

2017-2018 წელს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრმა“ გააფორმა 100-მდე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ყველა იმ მიმართულებით, რა მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსაც ახორციელებს კოლეჯში.

პარტნიორ დაწესებულებებთან შეხვედრების ორგანიზება, გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით. ბიზნესის ჩართულობა კოლეჯის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების, მიმართულებებისა და სტრატეგიის განსაზღვრაში

2017-2018 წლის განმავლობაში რეგულარულად იგეგმებოდა შეხვედრები კოლეჯისა და პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობით. შეხვედრებზე განიხილებოდა ბიზნესის მოთხოვნები დამსაქმებლების მიმართ და კოლეჯის სტუდენტების მზაობა შრომის ბაზარზე გასვლისთვის.

წლის განმავლობაში სხვადასხვა კომპანიები წარადგენდნენ პრეზენტაციებს თავიანთი საქმიანობის და ვაკანსიების შესახებ:

- 2018 წლის 24 იანვარი - კოლეჯში გაიმართა კომპანია “BLACK SEA GROUP”-ის ვაკანსიების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ „მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორის“ სტუდენტები და კურსდამთავრებულები.
- 2018 წლის 29 იანვარი - კოლეჯში გაიმართა კომპანია სუპერლაინსის ("maikaprint.ge") - ს ვაკანსიების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტისა“ და „ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების“ სტუდენტები და კურსდამთავრებულები.
- 2018 წლის 14 თებერვალი - კოლეჯში გაიმართა კომპანია „ნიკორა“-ს ვაკანსიების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, მათ შორის „მოლარე (ბანკის და ა.შ)“, „ბანკის მოლარე-ოპერატორი“, „მოლარე“, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“ და „ბუღალტრი“
- 2018 წლის 17 მაისი - კოლეჯში გაიმართა დასაქმების ფორუმი. ფორუმზე 20-მდე კერძო კომპანია იყო წარმოდგენილი და მასში მონაწილეობა გლდანის მოსახლეობის 500-მდე სამუშაოს მაძიებელმა მიიღო. დასაქმების ფორუმზე მისულ დაინტერესებულ პირებს, საშუალება ჰქონდათ ინფორმაცია მიეღოთ შრომის ბაზარზე აქტიური 2000-მდე ვაკანსიის შესახებ. ასევე, ყველა იმ პროგრამის და სერვისების შესახებ, რასაც სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს.
- 2018 წლის 28 მაისი - კოლეჯში გაიმართა კომპანია „ოდისეას“-ს ვაკანსიების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, მათ შორის ყველაზე აქტიურად „ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტ)“-ის სტუდენტები.
- 2018 წლის 20 ივნისი - კოლეჯში გაიმართა კომპანია „ნიკორა“-ს ვაკანსიების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები და

კურსდამთავრებულები, მათ შორის „მოლარე (ბანკის და ა.შ)“, „ბანკის მოლარე-ოპერატორი“, „მოლარე“, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“ და „ბუღალტრი“

- 2018 წლის 26 ივნისი - კოლეჯში გაიმართა შპს „თეგეტა მოტორს“-ის ვაკანსიების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ ტრანსპორტის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

**მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (პროფესიული ფესტივალები, გამოფენები)**

2018 წლის 19 აპრილს გლდანის მესამე მიკრო რაიონის სკვერში გაიმართა გლდანის პროფესიული ცენტრის ნამუშევრების გამოფენა, სადაც მოსახლეობას და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ პროგრამებს.

**კომპანია „რობერტ ბოშთან“ ერთობლივი კონფერენციისა და ტრენინგების გამართვა**

2017-2018 წელს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრ“-ში მსოფლიოში ცნობილი კომპანია „რობერტ ბოშის“ საერთაშორისო ტრენინგების მასშტაბური მასტერკლასი გაიმართა, რომელშიც კოლეჯის სტუდენტები და მასწავლებლები, ასევე სამშენებლო და საგზაო, დეველოპერული კომპანიების წარმომადგენლები, ადგილობრივი დილერები მონაწილეობდნენ. კოლეჯი და კომპანია „რობერტ ბოში“ (კავკასიის რეგიონში გაყიდვების ოფისი) 2014 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს.

**ვებგვერდის უცხოენოვანი ვერსი(ებ)ის განახლება**

2017-2018 წელს ვებგვერდის უცხოენოვანი ვერსიები შემუშავდა.

## ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულება

**სსსმ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის დროს გაწეული მხარდაჭერა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N110 ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე სსსმ სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რომელთა ხანგრძლივობა აჭარბებს ერთ ან ორ კალენდარულ წელს, კოლეჯში 2015 წელს სამინისტროსთან შეთანხმდა და დღემდე მოქმედებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული.

მიუხედავად ამისა, კოლეჯში მწვავედ დგას დამატებით ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირის ასისტენტის ერთი საშტატო ერთეულის ამოქმედების საჭიროება. ამ დროისათვის, დღის წესრიგშია აღნიშნული სპეციალისტების მოზიდვა შტატგარეშე პოზიციაზე.

- 2016 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების შედეგად კოლეჯში ჩარიცხულ ალან ხარებოვთან, რომელსაც ჰქონდა მხედველობის სირთულე, გამოიკვეთა შემდეგი პრობლემა. იგი ვერ ერთვებოდა პრაქტიკულ საქმიანობაში, ვერ ახერხებდა წერილობით კომუნიკაციის დამყარებას და სასწავლო მასალის წაკითხვას. ზემოხსენებული პრობლემის დაძლევის მიზნით, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრის რეკომენდაციით და იმის გათვალისწინებით, რომ ალან ხარებოვი არის შშმ პირი (შეზღუდვის სტატუსი „მნიშვნელოვანი“ შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზი - საერთო დაავადება „მხედველობითი“), გაეწია ხმოვანი პროგრამის „nvda“ შემსწავლელი სპეციალისტის მომსახურება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით N33/02.06.2017წ. (ჯამურად 32 საათის ოდენობით).

- 2016 წლის საშემოდგომო პროფესიული ტესტირების შედეგად კოლეჯში ჩარიცხულ შოთა ჩოხელს, რომელიც იყო ტოტალურად ყრუ, მას ჰქონდა სასწავლო პროცესში ინფორმაციის მიღება/გაცემის სირთულე, ასევე მწირი ლექსიკური მარაგი, რის გამოც წერილობით კომუნიკაციის დამყარება ნაკლებეფექტური იყო, გამოიკვეთა ჟესტური ენის სპეციალისტის ჩართვის საჭიროება. პრობლემის დაძლევის მიზნით, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრის რეკომენდაციით, გაეწია მომსახურება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით N30/11.05.2017წ. (ჯამურად 96 საათი).

- 2017 წლის საგაზაფხულო პროფესიული ტესტირების შედეგად კოლეჯში ჩარიცხულ თეიმურაზ ჯანელიძეს, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად არის შშმ პირი, მესამე ჯგუფის ინვალიდი, დიაგნოზი - ორმხრივ კოხლიარული ნევრიტი (ატარებს სასმენ აპარატს), აქვს სასწავლო პროცესში ინფორმაციის მიღება/გაცემის სირთულე. მას აქვს სსსმ სტუდენტის სტატუსი და ესაჭიროებოდა ჟესტური ენის თარჯიმანი. თეიმურაზ ჯანელიძეს გაეწია მომსახურება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით N36/10.07.2017წ.

### **ჩართულობა პროფესიული მომზადება-გადამზადების აქტივობებში**

2017 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, კოლეჯის პედაგოგები და ადმინისტრაცია ესწრებოდა ინკლუზიური განათლების საკითხებზე ჩატარებულ ტრენინგებს, სადაც ისინი გაეცნენ სსსმ და შშმ პირთა სწავლებისა და შეფასების ცოდნასა და გამოცდილებას, მათ შორის, ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესში. მაგალითად:

- სსსმ და შშმ პირთა დასაქმების მხარდაჭერის პროცესში ჩართულთა პროფესიული განვითარების და მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა და დაგეგმა მხარდაჭერითი დასაქმების ტრენინგ მოდული. 2016 წლის 12 დეკემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარე აღნიშნული ტრენინგის მიზანი იყო ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების კომპეტენციის ამაღლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საკითხებში.

- 2016 წლის 7 დეკემბერს სასტუმრო „ჰოლიდი ინ თბილისში“ გაიმართა ინკლუზიური განათლების მესამე საერთაშორისო კონფერენცია „2025 წელს ინკლუზია გულისხმობს ყველას“, რომლის მიზანი იყო საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ინკლუზიური პროფესიული

განათლების მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზი. ამავდროულად, ის წარმოადგენს პლატფორმას, რათა დარგის წარმომადგენლებისა და დაინტერესებული საზოგადოების წინაშე მოხდეს იმ შედეგების წარდგენა, რომელთა მიღწევა სამინისტროს დაგეგმილი აქვს 2025 წლისთვის ინკლუზიური განათლების განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის. პროცესების შეჯამებისა და მომავლის გეგმების განსაზღვრისას აქტიურად იყვნენ ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორები, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მენეჯერები და ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი გუნდები. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ასევე მომხსენებლები, ინკლუზიური განათლების სფეროში ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად, საერთაშორისო მკვლევარები დიდი ბრიტანეთიდან და ნორვეგიიდან. აღნიშნულ კონფერენციაზე, აქტიური როლი ჰქონდა და კონფერენციაზე წარმოდგენილ დისკუსიაში ჩართული იყო კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი - სესილია სიჭინავა.

- 2017 წლის 17 ნოემბერს დაიწყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის პედაგოგიური კურსი პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისათვის შემდეგი 5 თანმიმდევრული მოდულით:

- სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში;
  - პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში;
  - სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები;
  - კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში;
  - პროფესიული სასწავლებლების პედაგოგიური პროფესიული განვითარება.
- ტრენინგს დაესწრო 32 მასწავლებელი.

### **სასწავლო და სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებები/შედეგები და სირთულეები/გამოწვევები**

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების დანერგვას, ვინაიდან სსსმ პირები გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ. შესაბამისად, სასწავლო პროცესიც მორგებულია მათ შესაძლებლობებზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლეჯის ყველა სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტი აკმაყოფილებს პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თითოეული მათგანი პერსონალური თვისებებიდან გამომდინარე ხასიათდება გონებრივი განვითარების მაღალი დონით, კომპიუტერული ტექნოლოგიების კარგად ფლობის უნარებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით. ამავდროულად, ყველას აქვს მზაობა მიიღოს პროფესიული განათლება.

გარდა ამისა, კოლეჯში სისტემატიურად მიმდინარეობს შეხვედრები თბილისის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით. განხორციელდა მოსწავლეთა ვიზიტები კოლეჯის სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელოსნოების, პროფესიული პროგრამების და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გასაცნობად.

სასწავლო და სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებები და დასაქმებულ პირთა სტატისტიკა:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონტრაქტორი ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“ დახმარებით, კოლეჯში შეიქმნა „მეწარმეობის კლუბები“, რომელთა ფორმირების მიზანი იყო სასწავლო პროცესისთვის ექსტრალურკულური სასწავლო აქტივობების დამატება, რათა სტუდენტმა და მოსწავლეებმა რეალურად გამოსცადონ ბიზნეს იდეის ჩამოყალიბების, კომპანიის დაარსების, საქმიანობის წამოწყების, ფორმირების, მართვის და ლიკვიდაციის პროცესი. აქტივობები განხორციელდა შესაბამისი გამოცდილების მქონე კონსულტანტის ფასილიტაციით. აქტივობაში ჩართული იყო პროფესიული განათლების ერთი მასწავლებელი და სტუდენტთა ჯგუფი, მათ შორის სსსმ სტუდენტებიც, პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა ორი მეწარმეობის კლუბი. პროექტის დასასრულს 2017 წლის 12 იანვარს, სტუდენტებს გადაეცათ სერთიფიკატები.

- ორგანიზაცია „სოლიდარობის ქსელმა-მშრომელთა ცენტრმა“ 2017 წლის 17 მაისს კოლეჯში გამართა სამუშაო შეხვედრა. სემინარში აქტიურად მონაწილეობდა 40-მდე, მათ შორის, სსსმ პროფესიული სტუდენტები - გიორგი გველესიანი, სალომე გელაშვილი და ნიკა ტერაშვილი. სემინარის მიზანი იყო სტუდენტებისათვის, რომლებიც მომავალში გახდებიან დასაქმებულები, შრომის კოდექსსა და კანონის პრაქტიკულ გამოყენებაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა, მომხსენებლები იყვნენ „სოლიდარობის ქსელის“ წარმომადგენლები - ელენე ბერიაშვილი და დავით ომსაშვილი.

- 2017 წლის ივლისში ორგანიზებულ მინი-ფეხბურთის შიდა ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო სსსმ სტუდენტმა ნიკა ტერაშვილმა.

- საერთო სახალხო დღესასწაულის „პანკისობა 2017-ის“ ფარგლებში 2017 წლის 30 სექტემბერს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოაწყო პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჩვენი კოლეჯის, მათ შორის, სსსმ სტუდენტთა ნამუშევრები.

- 2018 წლის 9 თებერვალს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ გაიმართა ინტელექტუალური თამაში: "რა? სად? როდის?" ზამთრის სერია, რომელშიც კოლეჯის სტუდენტებისგან შემდგარი 11 გუნდი იღებდა მონაწილეობას. ერთ-ერთი გუნდს წარმოადგენდა და თამაშში აქტიურად იყო ჩართული სსსმ პროფესიული სტუდენტი ხატია ორველაშვილი.

- 2018 წლის 2 აპრილს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიულ მომზადების ცენტრში“ სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებზე:

- რას გულისხმობს ტრეფიკინგი?
- ვინ არის ტრეფიკინგის მსხვერპლი?
- რას სთავაზობს სახელმწიფო ფონდი ტრეფიკინგის მსხვერპლს?

საინფორმაციო შეხვედრას დაესწრნენ კოლეჯის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები, მათ შორის შემდეგი სსსმ პროფესიული სტუდენტები: დავით მირიანაშვილი, შალვა კვარაცხელია და



ხატია ორველაშვილი. ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხები ძალიან საინტერესო აღმოჩნდა კოლეჯის სტუდენტებისთვის. სახელმწიფო დახმარების ფონდსა და კოლეჯს შორის გაგრძელება ურთიერთთანამშრომლობა.

- 2018 წლის 19 აპრილს გლდანის მესამე მიკრო რაიონის სკვერში გაიმართა კოლეჯის ნამუშევრების გამოფენა, სადაც მოსახლეობას და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ პროგრამებს. გამოფენაზე იმყოფებოდნენ სსსმ სტუდენტებიც.

- 2018 წლის 17 მაისს კოლეჯში გამართულ დასაქმების ფორუმს დაესწრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ქეთევან ნატრიაშვილი. ფორუმზე 20-მდე კერძო კომპანია იყო წარმოდგენილი და მასში მონაწილეობდა გლდანის მოსახლეობის 500-მდე სამუშაოს მაძიებელი. დასაქმების ფორუმზე მისულ დაინტერესებულ პირებს, მათ შორის ჩვენს კურსდამთავრებულ სსსმ პირებს, საშუალება ჰქონდათ ინფორმაცია მიეღოთ შრომის ბაზარზე აქტიური 2000-მდე ვაკანსიის შესახებ. ასევე, ყველა იმ პროგრამის და სერვისების შესახებ, რასაც სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს. მსგავსი ფორუმი, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ორგანიზებით, წელს უკვე მესამედ ტარდება და მომავალში თბილისის ყველა რაიონს მოიცავს.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მხარს უჭერს სტუდენტთა განვითარებას და პროფესიულ წინსვლას. ილიაუნის სტუდენტები, „პრაქტიკა დაცული დასაქმების ადგილებში - ინკლუზიური განათლება და დასაქმება“ კურსის ფარგლებში, ერთჯერადი ვიზიტით, პერიოდულად ეცნობოდნენ ინკლუზიური განათლების სპეციფიკას პროფესიულ სასწავლებლებში და ერთჯერადი ვიზიტით (წყვილში) ახორციელებდნენ სტუდენტებთან შეხვედრას.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან სსსმ სტუდენტების საწარმოო პრაქტიკისა და დასაქმების კუთხით სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, ჩვენს კურსდამთავრებული სსსმ სტუდენტები დასაქმებული არიან:

- გოდერძი გოგოლაძე - ორგანიზაცია „World vision Georgia“ ;
- სოლომონ თოფჩიშვილი - სახალხო დამცველის აპარატი, ოფისის-მენეჯერის პოზიციაზე;
- ნიკო გათიკაშვილი - დასუფთავების სამსახურში;
- ვახტანგ გუნიავა - „ავტოსერვისცენტრი“-ში ავტომობილის შემკეთებლის პოზიციაზე.

## ბიბლიოთეკა

2018 წლის ჩათვლით ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობა:

ერთი დასახელების 134 ცალი წიგნი (8 ქსეროასლი) ჯამში 1251 ცალი.

2018 წლის ჩათვლით ბიბლიოთეკაში არსებული CD დისკების რაოდენობა:

ერთი დასახელების 48 ცალი (ჯამში 274 ცალი).

2018 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ, საჩუქრად გადაეცა 1 ერთეულის დასახელების წიგნი:

1. „გამოყენებითი ეკონომიკა ბიზნესში“ (რაოდენობა 1 ცალი).

2018წ-დან დღემდე 58 წიგნის გატანა არის დაფიქსირებული (12-მა ისარგებლა გახანგძლივების უფლებით).

ასევე, მეხსიერების ბარათით და ელექტრონული ფოსტით, ბიბლიოთეკიდან ბიბლიოთეკარის მიერ, გაგზავნილი არის მრავალჯერ, სხვადასხვა სახის ელექტრონული წიგნები სტუდენტებისთვის, მოთხოვნის შემთხვევაში.

2018 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკიდან არ ჩამოწერილა არცერთი დაზიანებული, მორალურად მოძველებული და სასწავლო პროცესისთვის შეუსაბამო წიგნი.

## დასკვნა

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფის მიერ შეფასებულ იქნა 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი, რის შედეგადაც დაფუძნებული იქნება 2018-2019 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებაში ჩართული პირები:

- ნოდარ ხარაზიშვილი - დირექტორის მ.შ.;
- გიორგი დიერაშვილი - დირექტორის მოადგილე ფინანსურ და მატერიალურ რესურსების დარგში;
- მანანა ნიაზაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
- მარინე წიკლაური - სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;
- მაია ტოროშელიძე - საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი;
- სესილია სიჭინავა - პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;
- თამარ ბერელაშვილი - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი;
- ქეთევან გვაძაბია - ბიბლიოთეკარი.

№	აქტივობის შინაარსი	შედეგი
1	მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში თანამშრომლობა განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრთან და კოლეჯში მათი დანერგვის ხელშეწყობა	შესრულდა
2	ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის პროცესი	არ შესრულდა
3	ახალი სასწავლო პროცესის დაწყების უზრუნველყოფა	შესრულდა
4	საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ღონისძიებათა გეგმის შემუშავება	შესრულდა
5	საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი	შესრულდა
6	მონიტორინგის შედეგების გაანალიზება	შესრულდა
7	პროგრამული შიდა აუდიტის ჩატარება	შესრულდა
8	მოხვედრების (ტრენინგების) მოწყობა სილაბუსის შემუშავების, ცოდნის შეფასების და სწავლების მეთოდების საკითხებში	შესრულდა
9	ახალი საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხილვა და დამტკიცების პროცედურების ორგანიზება	შესრულდა
10	მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება	შესრულდა
11	სასჯელადსრულების დაწესებულებებსა და კოლეჯში სხვადასხვა პროფესიული განათლების მოკლევადიანი განათლების პროგრამების განხორციელება	შესრულდა
12	თვითშეფასების ანგარიშის მომზადება	შესრულდა
13	მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება	შესრულდა
14	პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება	შესრულდა

15	პედაგოგიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და გადამზადება	შესრულდა
16	ადმინისტრაციული და პედაგოგიური კადრების გადამზადება /პროფესიული განვითარების ხელშეწყობა/მექანიზმების შემუშავება და განხორციელება	შესრულდა
17	საქართველოს განათლების სამინისტროს სსიპ-ბთან (გამოცდების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა სახლი, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და სხვა) თანამშრომლობის განვითარება	შესრულდა
18	პროფესიული განათლების პედაგოგთა შერჩევის ახალი კრიტერიუმების შემუშავება/დანერგვა	შესრულდა
19	საქართველოს პროფესიული განათლების განმახორციელებელი დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლა, გამოცდილების ურთიერთგაზიარების ხელშეწყობა	შესრულდა
20	თანამშრომლობა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან	შესრულდა
21	საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ანალოგიური პროგრამების განმახორციელებელ რეგიონულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან	შესრულდა
22	სტუდენტთა მოზიდვის მიზნით ღია კარის დღეების ჩატარება	შესრულდა
23	შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების ანალიზი	შესრულდა
24	კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაციის დამუშევების მოპოვება/ანალიზი / ტრენინგებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება	შესრულდა
25	პროფესიული სტუდენტების სოციალური მდგომარეობის შესწავლა და გაანალიზება	შესრულდა

26	სტუდენტების კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების სტრატეგიის შექმნა	შესრულდა
27	სტუდენტთა ტრანსპორტირებასა და საერთო საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა/ საერთო საცხოვრებლის პროექტის შემუშავება/პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესება	არ შესრულდა
28	სტუდენტთა სოციალური დაცვის მექანიზმების ამოქმედება, კვების ბლოკის მოწყობა, აღჭურვა, ამოქმედება	შესრულდა
29	რეგიონიდან ჩამოსული და სოც. დაუცველი სტუდენტების შესახებ ინფ. მოპოვება/ანალიზი და დახმარება (მათ შორის, საერთო საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად პროექტის მომზადება და წარდგენა)	შესრულდა
30	ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობა, სამინისტროს შესაბამის პროექტებში/პროგრამებში ჩართულობის გაზრდა	შესრულდა
31	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების გაუმჯობესება	შესრულდა
32	სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება/დანერგვა	შესრულდა
33	სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის მოსახერხებელი სასწავლო მასალების, წიგნების, ტექნიკური საშუალებების მოძიება და დანერგვა	შესრულდა
34	სასწავლო და სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიების გაუმჯობესება	შესრულდა
35	საკომუნიკაციო, საინფორმაციო, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება	შესრულდა
36	კოლეჯის ტერიტორიაზე გარე და შიდა ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობა	შესრულდა
37	საბიბლიოთეკო ფონდის სისტემური განახლება და შევსება, ელექტრონული ბიბლიოთეკის განვითარება	შესრულდა
38	კოლეჯის ბიუჯეტის პროექტის (წლიური, კვარტალური) მომზადება/წარდგენა (2016წ., 2017წ.)	შესრულდა

39	საწარმოო პრაქტიკის თაობაზე დამსაქმებლებთან ახალი მემორანდუმების გაფორმება	შესრულდა
40	პარტნიორ დაწესებულებებთან შეხვედრების ორგანიზება, გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით	შესრულდა
41	პოტენციულ დამსაქმებლებთან პერიოდული შეხვედრების ორგანიზება	შესრულდა
42	ბიზნესის ჩართულობა კოლეჯის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების, მიმართულებებისა და სტრატეგიის განსაზღვრაში	შესრულდა
43	მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (პროფესიული ფესტივალები, გამოფენები)	შესრულდა
44	პარტნიორების მოზიდვა სტაჟირებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით	შესრულდა
45	კომპანია „რობერტ ბოშთან“ მოქმედი პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო ცენტრისა (რესურს-ცენტრის) და FAB LAB-ის განვითარება, პროგრამების დანერგვა და ა.შ.	შესრულდა
46	კომპანია „რობერტ ბოშთან“ ერთობლივი კონფერენციისა და ტერენინგების გამართვა	შესრულდა
47	ვებგვერდის უცხოენოვანი ვერსი(ებ)ის განახლება	შესრულდა
48	მიმდინარე გეგმაში კორექტირების შეტანა (საჭიროების შემთხვევაში)	არ საჭიროებდა